ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 35 14 თებერვალი, ხუთშაბათი. 1866—1880 14 თებერვალი, ხუთშაბათი № 35

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

**„დროება“—„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“—„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილმანის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვრილმანის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივად მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

## დროება-ივერია

ამ 1880 წლიდამ შეერთებულის რედაქციით გამოდიან.

გაზეთი „დროება“ გამოვა მუდამ დღე, ორშაბათსა და უქმეების შემდეგ დღეებს გარდა, საშუალის თაბახით. გაზეთში იბეჭდება ტელეგრამმები (პირველ დღესვე) და სახაზინო განცხადებანი (ინტენდანტსტვოსი, პრიკაზისა და სხვ.)

ჟურნალი „ივერია“ გამოდის სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ რედაქციაში: ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверія“*.

| | წლიწ. | 6 თვე | 3 თვე. |
|---|---|---|---|
| ფასი „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მ. | 7 მ. | 4 მ. |
| ცალკე: „დროება“ | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| ცალკე: „ივერია“ | 6 „ | 4 „ | 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ —5 კაპ.
ცალკე ნომერი „ივერიისა“ —2 მან.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფასი ჟურნალ-გაზეთისა ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

ტფილისი, 13 თებერვალს.

ქუთაისის სათავად-აზნაური ბანკსა ნება დართო მთავრობამ იმოქმედოს ტფილისის გუბერნიაშიაც, ესე იგი, ამ გუბერნიის მამულებიც დაიგირაოს ხოლმე და ფული სესხად აქაც გასცეს. ქუთაისის ბანკს დღესა, თუ ხვალ ეგ უსათუოდ უნდა მოეხდინა. უწინდელი სამოქმედო ასპარეზი, სახელდობრ ქუთაისის გუბერნია სამეგრელოთი და აფხაზეთით, ჯერ კიდევ კარგა ხანს, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ვერ გაასაღებდა იმოდენა კრედიტს, რამოდენაც ხსენებულს ბანკს შეეძლო გაეცა და უქმად დება კრედიტისა არ იყო სასარგებლო არც ქვეყნისათვის და არც ბანკისათვის. ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო ქუთაისის ბანკი და ათხოვნინა, ტფილისის გუბერნიაზედაც განავრცოს თავისი მოქმედება და მთავრობამაც, როგორაც ვსთქვით, ნება დართო.

ამ სახით ერთსა და იმავე ადგილზედ დღეის ამას იქით იმოქმედებს ორი ბანკი ხან-გრძლივის კრედიტისა: ქუთაისის თავად-აზნაურებისა და ტფილისისა. კეთილს რასმეს მოასწავებს ეს ამბავი, თუ არა? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი კეთილის მომასწავებელია, თუმცა უარს არა-ვყოფთ რომ შესაძლოა ეგ ამბავი დიდის ბოროტის სათავეთაც გახდეს. ერთიცა და მეორეც იმაზეა დამოკიდებული როგორ მოიქცევიან ეს ორი ბანკი შემდეგში. შეუძლებელია, რომ ამ ორთა შუა ცილება არ მოხდეს და ცილებას ბევრი კარგი ნაყოფი გამოაქვს ხოლმე, როცა ცილებას სარჩულად უდევს კეთილ-სინიდისიანობა, როცა ცილება თვითონ საცილობელის საგნის განკარგებაზე, თუ გაიაფებაზეა მიქცეული.

ხან-გრძლივის კრედიტის ვანკარგება თვითონ ბანკების გამგეობაზედ ისე არ არის დამოკიდებული, როგორც უმაღლესს მთავრობაზედ. ყოველივე ცვლილება ამ მხრით, მოითხოვს საერთო სისტემის ცვლილებას, ერთხელ და ერთხელ მთავრობისაგან მიღებულისას და დამტკიცებულისას და ამიტომაც მრავალი მეცადინეობა-რუსეთის ხან-გრძლივის კრედიტის ბანკებისა ჯერ დრომდე უქმად არის დარჩენილი. ამ სახით ჩვენს ბანკებს მარტო ერთად-ერთი ღონისძიებაღა აქვთ, თავისის ცილების სიკეთე გამოიჩინონ. ეგ ღონისძიება იმაშია, რომ კრედიტი, რამოდენადაც შეიძლება, იაფად დაუსვან მამულის პატრონებსა. იაფად დასმა კრედიტისა მარტო ერთის გზით შეიძლება და ეგ გზა მარტო გირაოს ფურცლის ფასის ამაღლებაა, იმიტომ-რომ რამოდენადაც გირაოს ფურცლის ფასია დიდია, იმოდენად თავნიც დიდია და სარგებელი კი ერთი და იგივე რჩება. ამის გარდა სხვა სიკეთე ხან-გრძლივის ბანკების ცილებისაგან ჯერ-ხანად საგულისხმო არ არის და ეგეც რომ შესძლონ ჩვენმა ბანკებმა დიდი საქმეა, დიდი სიკეთეა.

გირაო ფურცლის ფასის ამაღლება ორ სხვა-და-სხვა გვარ მიზეზთაგან წარმოსდგება. ერთ გვარნი მიზეზნი ბანკის გამგეობის ხელთ არ არის, იგინი ბანკის გარედ არიან და საერთო ეკონომიურის მეტ-ნაკლებობისაგან იბადებიან. მეორენი კი ბანკის გამგეობაზედ არიან პირ-და-პირ დამოკიდებულნი.

ჩვენ, რასაკვირველია, მარტო იმას მივაქცევთ ყურადღებას, რაც ჩვენის ბანკების ხელთ არის, რაც პირ-და-პირ მათზეა დამოკიდებული. მათზედ ის არის დამოკიდებული, რომ ფული სიფთხილით იყოს გაცემული და გირაოდ მიღებულმა მამულმა შეიძლოს ყოველს შემთხვევაშიააყენოს ვალი უნაკლულოდ და უზარალოდ. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა მამული სიმართლით არის დაფასებული. თუ ამ მხრით ბანკმა აბრუ არ გაიტეხა, მისი გირაოს ფურცლები, რომელთ თამასუქად და იმედად მარტო გირაოდ მიღებული მამულია, ფასს უსათუოდ აიწევს. თუ, რასაკვირველია, სხვა გარეშე მიზეზნიც შესწევენ და თუ გაიტეხა, გარეშე მიზეზნიც რომ ხელს უწყობდნენ. მათი ფასი უეჭველად დაიწევს. მაშასადამე ცილება ამ ორის ბანკისა, თუ სიკეთე უნდათ, იმაში უნდა გამოჩნდეს, რომ მამულების ფასი დაფასების დროს

## ფელტონი

—

### სამეცნიერო საუბარი

*საზოგადო პორტრეთი და იმისი მნიშვნელობა. — პოლტის პორტრეთი, კაცის მკვლელის პორტრეთი. — შვილი ვის დაემსგავსება. — თოფის წამალი და მისი ძალა. — იმისი ვნება და სარგებლობა. — რომელი თოფის-წამალი უფრო ღონიერია? — დინამიტი.*

—

მოგზაურებს ხშირათ შეჰხვედრიათ იმისთანა ქვეყანაში სიარული, რომლებშიაც ჩვენისთანა ხალხი არა სცხოვრობს. ზოგს ქვეყანაში მცხოვრებლებს კანი შავი აქვთ, ზოგან მოწითლო; ზოგან კაცებს წვერ-ულვაში თავის დღეში არ ამოსდით, ზოგი შავ-თვალ-წარბაა, ზოგი ქერა, ერთის სიტყვით რა ქვეყანაშიაც კი მივა კაცი, ყველგან განსხვავებული სახის მქონე მცხოვრებლებსა ჰხედავს. გარდა ამისა, როდესაც მოგზაური ახლათ მისულია რომელიმე ქვეყანაში, იმ ქვეყნის მცხოვრებლებს ერთი-ერთმანერთისაგან ვერ არჩევს. ყოველს იმ ქვეყნის მცხოვრებს თითქო რალაც ნაციონალური დაღი აზის, ყველას ერთმანერთთან რაღაც მსგავსება აქვს. ახლათ მისული მოგზაური ჯერ მხოლოდ ამ მსგავსებას აქცევს ყურადღებას და იმის დაკვირვება კი უჭირდება, რაც თვითეულს მათგანს განსაკუთრებული ნიშნები აზის.

დიდხანს დასჭირდება მოგზაურს იქ ყოფნა, რომ მცხოვრებლების ერთი ერთმანეთისაგან გარჩევა შეიძლოს.

სწორეთ ამისთანა საქმე ემართებოდათ ინგლისელებს, როდესაც ისინი პირველათ დასახლდნენ ამერიკაში ინდიელების შორის. ისინი ერთს ინდოელს მეორესაგან ადვილათ ვერ არჩევდნენ. აგრეთვე ინდოელებს ერთი ინგლისელი მეორე ეგონათ.

ადამიანებისა და პირუტყვების შედარებისა რომ არ მეშინოდეს, ვიტყოდი, რომ ინგლისელებსა ამ შემთხვევაში სწორეთ ისეთივე საქმე დაემართათ, რაც საქმე იმ კაცს ემართება, რომელიც ცხვრის ფარას პირველათ ჰხედავს. იმისთვის ძალიან ძნელია ერთი ცხვრისა მეორესთან გარჩევაც და სრულებით არა სჯერა, როდესაც იმას ეუბნებიან, რომ მეცხვარე ყოველს თავის ცხვარს იცნობსო.

როდესაც მოგზაურები რომელიმე ხალხის ცხოვრებასა სწერენ, თავიანთ წიგნებში იმ ხალხის წარმომადგენელის პორტრეთსაც ჩაუმატებენ ხოლმე; გარდაადებინებენ ერთის რომელიმე მცხოვრების პორტრეთს და როდესაც იმ ხალხის სახის მეტყველებაზედ ლაპარაკობენ, იმ პორტრეთს მიუთითებენ.

ძნელი ეს არის, რომ ეს პორტრეთი არის მხოლოდ ერთის კაცისა და ამ კაცს შეიძლება ისეთი სახის მეტყველება ჰქონდეს, რომელიც სხვა იმის მეზობლების სახეებს სრულებით არ წააგავდეს.

მაშინ მკითხველს ცრუ გამოხატულება წარმოუდგება თვალ-წინ იმ ხალხისა, რომელზედაც მოგზაური ლაპარაკობს.

მაგრამ თუ ისე მოვახერხეთ, რომ რამდენიმე პირის პორტრეთს ერთს პორტრეთათ გადავაქცევთ, ისე რომ რაც ყველა იმ პორტრეთებში მგზავსი სახის ნაწილებია ერთს პორტრეთზედ გადავიდნენ და რაც სხვა და სხვაობა ამოიშალოს, მაშინ იმისთანა პორტრეთი შეგვრჩება ხელში, რომელიც ყოველს მათგანს ეგვანება და სათითაოდ კი ვერც ერთზედ ვერ ვიტყვით ეს ამ პორტრეთისაგან არის გადაღებულიო.

ამ გვარს პორტრეთს ერქმის „საზოგადო პორტრეთი“ და არის კიდეც ნაპოვნი საშუალება ამ პორტრეთის აღებისა.

დამიგდეთ ყური, რა ადვილათ შესაძლებელია ამ საზოგადო პორტრეთის აღება.

ვსთქვათ, გინდათ თქვენ ჩინელების საზოგადო პორტრეთი გქონდეთ, იმისთანა პორტრეთი, რომელნიც ყველა ჩინელების სახეს მოგვაგონებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტებით განსაზღვრონ ხოლმე.

ვინ არ იცის, რომ უმრავლესი ნაწილი მსესხებელთა იმის მონატრეა, მამული, რაც შეიძლება, ძვირად დააფასებინოს და ბევრი გამოიტანოს ბანკიდამ. ბანკს კიდევ ის ენატრება, რაც შეიძლება, ბევრი სესხი გაჰსცეს, რადგანაც მოგების რაოდენობა ამაზეა დამოკიდებული. ერთის მხრით ნატვრა ბანკისა, რომ ბევრი მსესხებელი იყოლიოს და მეორეს მხრით მსესხებლისა, რომ რაც შეიძლება ძვირად დააფასებინოს მამული, აი ის ჩანგალი, რომელზედაც ცილება ზედ წააგებინებს თავს ბანკსაც და მსესხებელსაც.

აი ეს არის ის ფართო მოედანი, რომელზედაც ცილებას შეიძლება მრავალი ბოროტი მოჰყვეს. თუ ეს ორი ბანკი ერთმანეთს ამ მოედანზედ გაეჯიბრებიან და შეეჭიდებიან, მოგვერდათ ის უნდა იხმარონ, რომ მსესხებლის ხშირად წინდაუხედავს ნატვრას დიდი ავალა მიჰსცენ და წააქეზონ, რადგანაც მარტო ამ ნატვრის წაქეზებით შეიძლება მსესხებლის მოპოვება და გადმობირება.

ამ წაქეზებისათვის ქუთაისის ბანკს უფრო დიდი უპირატესობა აქვს ტფილისის ბანკის წინაშე. შემდეგში ამ საუბედურო უპირატესობაზედ მოვილაპარაკებთ.

## ახალი ამბები

გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეეხება:

„კავკასიის ნამესტნიკის გამგეობა შუამდგომლობს კავკასიის კომიტეტის წინაშე, რომ ნამესტნიკს მიენიჭოს უფლება ახალი ვადა დაუნიშნოს ან სულ აპატიოს ის ფული, რომელიც ზოგიერთ პირებს აუღიათ ხაზინიდამ ვალად იმ ფულიდამ, რომელიც ნამესტნიკის განკარგულებაშია საზოგადო საჭიროებათ დასაკმაყოფილებლად. 1868 წლის 1 იანვრიდამ სულ 1,823,090 მანეთი არის ამ ფულიდამ სესხად გაცემული; აქედამ ძალიან ცოტა შემოვიდა და დანარჩენები კი ზოგი სულ ვერ ახერხებს ვალის გადახდას და ზოგი კი ახალი ვადის დანიშვნას თხოულობს.“

* * *

ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, ქალაქს ფოთს კიდევ სამის წლის ვადით მიენიჭა ის უპირატესობა, რომ რაც უცხო ქვეყნის საქონლიდამ ფოთის დამოჟნას წმინდა შემოსავალი ექნება, ხუთი პროცენტი (ასს მანეთში 5 მანეთი) თვითონ ქალაქის ფოთის სასარგებლოდ იყოსო.

* * *

კიდევ ჯანჯულაზოვის გაკოტრებაზედ:

ამბობენ, რომ ზოგიერთმა იმის მოვალეებმა ამ ერთის კვირის წინათ იცოდნენო, რომ ჯანჯულაზოვები გაკოტრებას აპირებდენო და ამათ წინათვე მიიღეს თავის ვალი და დაკმაყოფილდნენო. სხვათა შორის იმის, ვითომც ამ რამდენიმე დღის წინათ ჯანჯულაზოვების სახელობაზე 15,000 მანეთის საქონელი მოსულა დამოჟნაში და სულ ეს საქონელი ერთს მოვალეთაგანს წიუღია.

თუ ეს ამბავი მართალია, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამათ ჩამოერთვას ეს ფული და თანასწორად გაიყოს ყველა მოვალეებზე... ამ გვარად მოქცევა მით უფრო საჭიროა, რომ ჯანჯულაზოვების გაკოტრებამ, როგორც ამბობენ, ბევრი ღარიბი ხალხი აატირაო, და სადაური სამართალი იქნება, მდიდრებმა ამოიგონ თავის ფული და ღარიბები კი მშრალზედ დარჩნენ.

ჩვენ ვვაკვირვებს სხვათა შორის, რომ ერთ ვილაცა ქვრივ-ოხერს ათასი მანეთი მიუცია ჯანჯულაზოვებისათვის; თვეში თორმეტ მანეთს იღებდა ამ ფულში სარგებელსაო და სარგებლის ცხოვრებდა თვითანაც და შვილსაც ამით არჩენდა... აფსუსი არ იქნება, რომ ამის ფული დაიკარგოს და კომერციულ ანუ ურთი-ერთ-ნდობის ბანკმა, ან ჩითახოვმა კი ამოიგონ თავის ფული?!

* * *

19 თებერვალს სადღესასწაულოთ ტფილისის კრუჟოკი აპირებს რუსული სპეკტაკლისა და კანცერტის გამართვას, რომლის შემოსავალი დანიშნული იქნება ტფილისის პირველდაწყებით შკოლების ღარიბ შაგირდების სასარგებლოდ. ამას გარდა კრუჟოკი გამართავს ორ მასკარადს 26 თებერვალს და 1 მარტს; ერთი მასკარადის შემოსავალი კრუჟოკმა დამშეულების სასარგებლოდ დანიშნა და მეორესი ტფ. საშუალო სასწავლებლებში ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნელად.

**ხელმწიფის სასახლის აფეთქების თაობაზედ.** დღევანდელის რუსეთის ფოჩტით მოსულ მოსკოვის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი უფრო დაწვრილებული ამბავი იმ აფეთქების შესახებ, რომელიც ამ თვის 5-ს მოხდა ხელმწიფე იმპერატორის საზამთრო სასახლეში:

„გუშინდელი საშინელი შემთხვევის ამბავი ერთს თვალის-დახამხამებაში გავრცელდა პეტერბურღში; აღელვებული ხალხი შეცვივდა ეკლესიებში მადლობის გარდასახდელად უფლისა, რომელმაც ამ წარმოუდგენელის უბედურებისაგან დაიცვა ხელმწიფისა და იმის ავგუსტოესის ძვირფასი სიცოცხლე. მიტროპოლიტმა ისიდორემ პარაკლისი გარდაიხადა ისაკის სობოროში და წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა; თვითონაც სტიროდა და ხალხიც აატირა. ამავე დროს სასახლის და სხვა ეკლესიებშიაც პარაკლისი გარდაიხადეს.

„უანგარიშო ხალხი მოგროვდა სასახლის წინ ქუჩებში. თვითონ სასახლეში მოგროვდნენ ყველა წარჩინებული პირნი, კარის კაცები, გვარდია და აგრეთვე ბევრი ქალები.

„როცა ხელმწიფე იმპერატორი მემკვიდრითა და ცესარევნით გამოვიდა სასახლის ზალაში, მთელი ეს ხალხი ალტაცებით სტიროდა.

„აი ზოგიერთი დაწვრილებული ამბავი გუშინდელ შემთხვევაზედ:

„ჩვეულებრივად ხელმწიფე იმპერატორი 6 საათზე მიირთმევს სადილს; მაგრამ გუშინ, რადგან იმპერატრიცის ძმას გესსენის პრინცს მოელოდა, ამის გამო სადილმა დაიგვიანა ნახევარის საათით.

„სწორეთ იმ დროს, როდესაც სადილის საჭმელ ოთახში შემოდიოდნენ ერთის მხრით ხელმწიფე იმპერატორი გესსენის გერცოგინა და ბოლგარიის მთავრით და მეორეს მხრით ყველა წევრნი იმპერატორის ოჯახისა (გარდა იმპერატრიცისა, რომელიც ავათ ბრძანდება), სწორეთ ამ დროს მოისმა ერთი რაღაც საშინელი აფეთქების ხმა. ერთი მინუტით უფრო გვიან რომ მომხდარიყო ეს აფეთქება, უბედურება არ ასცილდებოდა.

„რაღაც ჯოჯოხეთის ძალამ მიანგრმოანგრია და მილეწ-მოლეწა პურის-საჭმელ ოთახში ყველა სტოლები, ჭურჭელი, მიამტვრია ფანჯრები და ორი მოსამსახურე დასჭრა. ხელმწიფის გულის-სიმაგრემ ყველა დაამშვიდობა.

„მალე მოახსენეს ხელმწიფეს დაწვრილებული ამბავი ამ საშინელის შემთხვევისა: აღმოჩნდა, რომ აფეთქებას

---

დეს. ამისათვის საკმარისია, ათი ჩინელის პორტრეტი გქონდეთ და ეს პორტრეტი ერთის ზომისანი იყვნენ. თუ ისე გადავიღებთ ამ პორტრეტებს ცალ-ცალკე, რომ ყველას თვალებს შუა ერთი და იგივე მანძილი იყოს და ერთი ერთმანერთზედ დააწყობთ ისე რომ ყველა პორტრეტების თვალის ბაია ერთი-ერთმანერთზედ მოდიოდეს, მაშინ ძალიან ადვილია საზოგადო პორტრეტის გადაღება.

საკმარისია, რომ ეს პორტრეტები ფოტოგრაფიის იარაღის-წინ დავდოთ და თუ ერთის პორტრეტის გადაღებას მაგ. ოთხმოცი წამი უნდება, თითო მათგანის გადაღებას ათ ჯერ ნაკლები დრო, ე. ი. რვა წამი მოვანდომოთ.

ყველა ამ პორტრეტისაგან, რასაკვირველია დარჩება კვალი ფოტოგრაფიის ფიცარზედ და ბოლოს მხოლოდ ის სახის ნაწილები გამოვლენ კარგათ, რომელნიც ამ პორტრეტებში ერთმანერთსა ჰგვანან. ის სახის ნაწილები კი, რომელნიც ზოგიერთს მათგანსა აქვს შეუნიშნავათ დააჩნდებიან ფოტოგრაფიის ფიცარს და კვალს თითქმის არაფერს დასტოვებენ.

ეს საზოგადო პორტრეტი იქნება თითქმის ყველა ჩინელების მზგავსი და თუნდა კაცს თავის დღეში ჩინელი არ ენახოს, მაინც ამ პორტრეტის ნახვის შემდეგ წარმოდგენას შეადგენს ჩინელების სიხის გამომეტყველებაზედ.

ამ გვარათვე შეიძლება ერთისა და იმავე კაცის სხვა და სხვა პორტრეტებისაგან ერთის უფრო მზგავსი პორტრეტის შედგენა. თუ ამ კაცის სხვა და სხვა პორტრეტებს მოვაგროვებთ და წელანდელსავით მოვიქცევით, მაშინ იმის საზოგადო პორტრეტი სრულებით იმისი მზგავსი იქნება და ის შეცდომილება კი, რომელიც ცალცალკე პორტრეტების აღების დროს მომხდარა, ამოიშლება.

ეს უკანასკნელი საშუალება სცადეს რომაელთ იმპერატორებისა და ბერძენთ გმირების პორტრეტების ასაღებათ. მრავალი მედალია დარჩომილი ძველის დროისა, რომლებზედაც ამ იმპერატორების და გმირების სახეც ამოჭრილი. ზოგის სახე რამდენსამე მედალზედ არის ამოჭრილი. თვითეული მათგანი არ უნდა მიაგავდეს მათ ნამდვილ სახეს, მაგრამ თუ მათგან საზოგადო პორტრეტს გარდავიღებთ, პორტრეტი მათი მზგავსი უნდა იყოს.

ამგვარათვე გარდაიღეს სახე მშვენიერებით განთქმულის ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრისა, რომელიც ქრისტეს წინეთა სცხოვრებდა.

ამ გვარივე საშუალებით შეადგინეს საზოგადო პორტრეტი პოეტისა, მუზიკანტისა, კაცის მკვლელისა, ჭკუიდგან შეშლილისა და სხვ.

მართლაც, საკმარისია, რომ ათი სხვა-და-სხვა პოეტის პორტრეტი ავიღოთ და მათგან ზემოხსენებული საშუალებით საზოგადო პორტრეტი შევადგინოთ. ამ პორტრეტზედ იქნება ვამოხატული საზოგადოთ პოეტის სახის გამომეტყველება, პოეტის იები და რაც კი ყოველის მათგანის სახეს საკუთარი ნიშანი აქვს, ამოიშლება.

პირუტყვებზედაც ეგევე ითქმის, როდესაც ვამბობთ მაგ. „ძაღლი“ ჩვენ თვალ წინ წარმოგვიდგება უკანასკნელათ ნახული მწევარი, ფინია, ან ქოფაკი და არა იმისთანა პირუტყვი, რომელსაც საზოგადოთ ძაღლის თვისებები და სახე აქვს. ამ უკანასკნელის სახის ასაღებათ საჭიროა, რომ ერთს ზომაზედ აღებული პორტრეტები სხვა-და-სხვა ჯურის ძაღლისა: მწევრისა, მეძებრისა, ფინიასი, ქოფაკისა და სხვ. ერთმანერთზედ დავაწყოთ და მათგან საზოგადო პორტრეტი შევადგინოთ.

ერთი რამ კიდევ მოხერხდება ამ საზოგადო პორტრეტების შემწეობით. დედ-მამას შეუძლიან შეიტყონ რა სახისა იქნება იმათი შვილი, რომელიც ჯერეთ არ დაბადებულა, შეუძლიანთ შეიტყონ მაგალითად დედას უფრო ეგვანება, თუ მამას.

ამის შესატყობათ, უნდა შეიკრიბოს ბავშვის დედ-მამის პორტრეტები, იმის პაპისა და ბებიებისა, დებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 კაცი მოუკლავს და 45 დაჭრილიაო.

„აფეთქება მოხდა სარდაფში, საიდამაც თბება ხოლმე სასახლე. აფეთქების ძალამ დაანგრია ის ოთახები, სადაც სასახლის ყარაული იდგა და აგრეთვე ზემო სართულში ხელმწიფის პურის საჭმელი ოთახის იატაკი. აფეთქებას ისეთი საშინელი ძალა ჰქონდა რომ არა თუ სასახლეში, იმის ახლო-მახლო სახლებშიაც თითქმის ყველა ფანჯრები დალეწილია.

„საღამოს რვა საათზე ხელმწიფემ ნახა დაჭრილები. დღეს, 6 თებერვალს, ნანგრევებში კიდევ ორი მკვდარი აღმოაჩინეს. სასახლის ახლო-მახლო ქუჩებში ტევა აღარ არის იმდენი ხალხი დაჯგუფულა. ქალაქში დილიდამვე ფლაგებია გამოფენილი.“

## ქალაქის რჩევის სხდომა

11 თებერვალს.

წარსული სხდომის პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ სეკრეტარმა მოახსენა რჩევას ქალაქის გამგეობის აზრი შესახებ დიდუბის მიწისა, რომელიც მუშტაიდს იქით მდებარეობს.

გამგეობის მოხსენებიდამ აღმოჩნდა რომ ბატ. თვ. ღუბერნატორს 1876 წელს უშუამდგომლებია უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ეს დიდუბის ალაგები, რომელიც ადრე საეკკლესიო იყო და ახლა სახაზინოა, ქალაქს გარდაეცეს საკუთრებად, რადგან ქალაქის წრეში ჩარიცხული და იმას თან-და-თან ეჭირება თავისუფალი ადგილები. ეს შუამდგომლობა მაშინ არ ყოფილა შეწყნარებული.

ქალაქის გამგეობა მიიღებს მხედველობაში, რომ დიდუბე ქალაქის წრეში ჩარიცხული, რომ, კანონით, რაც ქალაქის გარეშემო ორი ვერსი სახელმწიფო მიწა იქნება, ქალაქს უნდა ეკუთვნოდეს და ამას გარდა, რომ ის ადგილი ქალაქისათვის მაღნის გასაკეთებლად არის საჭირო, ამის გამო ხელმეორედ სთხოვს მთავრობას, რომ დიდუბე ქალაქს დაეთმოს.

ქალაქის რჩევა ერთ-ხმად დაეთანხმა ამ გარდაწყვეტილებას გამგეობისას და გარდაწყვიტა, რომ დაუყოვნებლივ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე დიდუბის საკუთრებად მინიჭებაზედ.

შემდეგ რჩევამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ორი ახალი პარომის გაკეთებაზედ მტკვარზედ — საზაფხულო თეატრთან და მირზოევის ქარხნის მახლობლად — და ამ პარომების იჯარით გაცემაზედ. ამ ორ ადგილას პარომის გაკეთებისა და თვითონ პარომების იჯარით აღების აზრი უფ. პასუმოვს შეუტანია პირველად ქალაქის გამგეობაში და თან იჯარის ფასი 500 მანეთი უძლევია წელიწადში. გამგეობა არ დათანხმებულა ამ ფასზე და გაზეთებში გამოცხადებით ვაჭრობა დაუნიშნავს; ვაჭრობაზე მხოლოთ ერთი მოვაჭრე გამოცხადებულა და იმასაც იჯარის ფასად მხოლოდ რვა თუმანი უძლევია წელიწადში.

გამგეობა ამბობდა თავის მოხსენებაში, რომ ამ ფასად პარომების იჯარით გაცემა ჩვენ ქალაქისათვის სასარგებლოდ ვერ დავინახეთო და ამ საგნის გარდაწყვეტა რჩევისთვის მიგვინდვიაო.

რამდენიმე ხმოსანთა უკმაყოფილება გამოაცხადეს გამგეობაზე, — რატომ იმ თავითვე არ მიეცით ბატ. პასუმოვს ეს იჯარაო, რატომ ასე ცოტა ვადა იყო ვაჭრობისათვის დანიშნულიო და სხვ. ბოლოს გარდაწყვიტეს, რომ ამ საქმის გათავება ისევ გამგეობას მიენდოს მხოლოთ იმ პირობით, რომ ორივე პარომი 500 მანეთზე ნაკლე ფასად არ გასცეს წელიწადში.

ამ ორს საგანს გარდა, რამდენიმე სხვა საგნებზედაც იყო სჯა, რომელთაც თითქმის არავითარი საზოგადო ინტერესი არა ჰქონდათ.

## უცხოეთი

**წვრილი ამბები.** ბუკურეშტიდამ (რუმინიიდამ) იწერებიან „მოსკოვის უწყებებში“ 4 თებერვალს, რომ რუმინიის დაუმოკიდებლობა ფორმალურათ იქნება გამოცხადებული 20 თებერვლამდინ გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის მხრითო.

—

„ჰავასიის სააგენტოში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ოსმალეთს ჯერ არ გადუწყვეტია — რა მიწები უნდა დაუთმოს ჩერნოგორიას გუსინიას და პლავის მაგივრათ. იტალიის ელჩმა მიიღო თავის მმართებლობისაგან ბრძანება, რომ ჯერ არ დაიწყოს მან ამ საქმის შესახებ მოლაპარაკება. რუსეთი ამ საქმეში არ იღებს არაფერ მონაწილეობას: იმის ელჩი ცდილობს, რომ ოსმალეთმა რაც შეიძლება მალე აასრულოს ბერლინის ტრაქტატის გადაწყვეტილება.

—

ათინიდამ (საბერძნეთიდამ) იწერებიან ნემეცურს გაზეთებში, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომელთაც მოაწერეს ხელი ბერლინის ტრაქტატს, ძალას ატანენ ოსმალეთს მალე გადასწყვიტოს საბერძნეთის სამზღვრების საქმე. ამ დღეებში სავას-ფაშა წარადგენსო ამ საქმის შესახებ ახალ პროექტებს, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს საბერძნეთსაო.

—

„რეიტერის სააგენტოში“ სწერენ თეირანიდამ, რომ სპარსეთის მმართებლობამ უნდა დანიშნოს კომისსია ევროპიელებისაგან, რომელთაც გაიყვანონ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი ოსმალეთსა და სპარსეთს შუა.

—

ამავე სააგენტოს ცნობებიდამ სჩანს, რომ ვითომც სპარსეთის მმართებლობას აქვს სახეში ამ გაზაფხულში გაგზავნოს თავისი ჯარები აელანში და დაიპყრას გერატი. სპარსეთს შეუტყობინებია თავისი განზრახვა ინგლისისთვის და, როგორც ამბობენ, ინგლისის მმართებლობას სრული თანხმობა გამოუცხადებია იმ განზრახვისა და დადებული პირობების შესახებ.

—

ინგლისურს გაზეთებში დაბეჭდილია ქაბულიდამ მიღებული ამბავი, რომ მცხოვრებლებისაგან იარაღის ჩამორთმევა ძალიან გაძნელდაო, თუმცა საჩუქარიც იყო დანიშნული იმ პირებისთვის, ვინც იარაღს მოუტანდა ინგლისელებს. მარტო ერთი ნამდვილი საშუალებაა, რომ დაიმორჩილოს აელანის მცხოვრებლები, ეს იარაღის ჩამორთმევა, და რომ ეს საშუალება მოიყვანონ სისრულეში, უნდა გაგზავნონ ყველა სოფლებში ინგლისის სალდათები და სანამ იარაღს არ ჩამოართმევენ, მანამ არ მოსცილდნენ.

—

„რეიტერის სააგენტოში“ დაბეჭდილია ცნობები ვაშინგტონიდამ (ამერიკიდამ), რომ ზღვის მინისტრს მიანდვეს, გაგზავნოს მან ერთი ხომალდი ირლანდიაში შემწეობის დასარიგებლათ.

## ნარევი

ქალები დეპუტატებათ. ნიუ-იორკიდამ იწერებიან, რომ ერთის შტატის წარმომადგენელთა პალატამ გადასწყვიტა კონსტიტუციის გადათვალიერება იმ აზრით, რომ ქალებსაც მიეცეთ ნება დეპუ-

ძმებისა, თუ ჰყავს, ბიძებისა, მამიდა და დეიდებისა და ამ პორტრეტებისაგან შესდგეს საზოგადო პორტრეტი, მხოლოთ ისე კი რომ ამ პორტრეტების ერთმანერთზედ დაწყობის შემდეგ, იმათი პორტრეტები უფრო დიდხანს დარჩნენ ფოტოგრაფიის იარაღის წინ გადაღების დროს, რომელთაც ბავშვთან უფრო ახლო ნათესაობა აქვთ, მაგ. დედისა, მამის, ძმებისა და დების პორტრეტები ოთხჯერ უფრო მეტს დროს უნდა დარჩნენ, ვიდრე სხვა ახლო ნათესავებისა.

ეს მეთოდა საზოგადო პორტრეტების გადაღებისა ჯერეთ სრულებით ახალია და იმედია, რომ შემდეგში, როდესაც უფრო გავრცელდება, დიდს სარგებლობას მოუტანს, როგორც მოგზაურებს, აგრეთვე იმ სწავლულებს, რომელნიც ბუნების მეცნიერების კანონებს ეძებენ. მაგ. ამ მეთოდას დიდი გავლენა ექნება მემკვიდრეობის კანონების გამოკვლევაზედ: ამ მეთოდით შეიძლება აიხსნას, დედას უფრო მეტი გავლენა აქვს შვილის აგებულებასა და სახეზედ, თუ მამას.

* * *

ძვირათ მოიძებნება დედამიწის ზურგზედ იმისთანა კაცი, რომელმაც არ იცოდეს თოფის წამლის ძალა. ყველამ იცის, რომ ამ ნივთიერებას ისეთი ძალა აქვს, რომ აფეთქების დროს შეუძლიან არამც თუ ტყვია ერთსა და ორს ვერსის სიშორეზედ გაისროლოს, თვით უზარმაზარი კლდეებიც შესძრას და ერთმანერთს დააშოროს.

ყველამ იცის თოფის-წამლის ძალა, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის საიდგან წარმოსდგება იგი.

თოფის-წამალი მაგარი ნივთიერებაა და ძალიან მცირე ალაგი უჭირავს. ის შესდგება გვარჯილის, გოგირდისა და ნახშირისაგან. აფეთქების დროს გვარჯილაში მყოფი ერთი მეტალი, კალიუმი, შეუერთდება გოგირდს და ბადავს შავს ნივთიერებას, რომელიც თოფის ლულაში რჩება გავარდნის შემდეგ. აფეთქების დროსვე თოფის წამლისაგან წარმოსდგება ორი ჰაერგვარი ნივთიერება: აზოტი და ნახშირმბალსა და მჟავმბადისაგან შემდგარი ჰაერგვარი, რომელსაც სახელათ ნახშირმჟავე ჰქვიან. ამ ორს ჰაერგვარს ბევრით უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე თოფის-წამალს ეჭირა და თუ ეს უკანასკნელი ვიწრო ალაგას იყო მომწყვდეული, უეჭველათ იმ ალაგას კედლები შეირყევიან და შეიძლება დასკდნენ კიდეც.

როდესაც ეს აფეთქება თოფის ლულაში ხდება, აფეთქებისაგან წამომდგარნი ჰაერგვარნი აწვებიან ტყვიას და ერთს მხარეს გზავნიან, მაგრამ რაკი ერთბაშათ გასვლას ვეღარ ასწრობენ, მეორე მხარესაც ცდილობენ გასვლას და ამ უკანასკნელი მიზეზის ბრალია, რომ თოფის მსროლელს თოფი მხარში დაჰკრავს ხოლმე.

როდესაც შუა საუკუნეებში ერთმა ბერმა თოფის-წამალი მოიგონა, იმას ფიქრათაც არ მოუვიდოდა, რომ შემდეგში ამ ნივთიერებას ასე სხვა-და-სხვა ნაირათ გამოიყენებდენ, როგორც ეხლა იყენებენ.

მართალია თოფის-წამლის ხმარებას დიდი ზიანი მოაქვს ომის დროს, მაგრამ გზების მუშაობის დროს დიდი სარგებლობაც მოაქვს. ეხლა ზოგან ევროპაში რკინის გზის გასატარებლათ უზარმაზარი მთებია გახვრეტილი, ასე რომ ათსა და თორმეტს ვერსტზედ ვაგონებმა ხვრელში უნდა იარონ და ამ ხვრელების გამოთხრა ძალიან ძნელი იქნებოდა თოფის-წამალი რომ არ ეხმარათ.

რასაკვირველია ამ გვარი მუშაობისთვის ის თოფის-წამალი უფრო ძვირფასია, რომელსაც უფრო მეტი ძალა აქვს, რომელიც უფრო მეტს ჰაერგვარსა ჰბადავს და ჯერეთ არ არის ნაპოვნი ისეთი თოფის-წამალი, რომელიც ამ თვისებებით დინამიტს შეედრებოდეს.

მ.

ტატებათ (ხალხის წარმომადგენლებათ) არჩევის.

* * *

**დიუმას ახალი წიგნი.** ესლახანს გამოჩენილ საფრანგეთის მწერალს ალექსანდრე დიუმას დაუბეჭდავს პარიჟში წიგნი, რომელსაც „ცოლ-ქმრობის დაშლა“ ჰქვიან. ერთს დღეში ათი-ათასზედ მეტი ეგზემპლიარი გაუყიდნია ამ წიგნისა.

* * *

**ლუი-ბლანი და იმისი შრომის მოყვარეობა.** გამოჩენილს საფრანგეთის ისტორიკოსს ლუი-ბლანს თავის სიცოცხლეში მრავალი ისტორიული თხზულება დაუწერია: სხვათა შორის იმას გამოსცა თორმეტი დიდი ტომი საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიისა და ხუთი დიდი ტომი საფრანგეთის ისტორიისა ამ საუკუნის დამდეგს. ეხლა ლუი-ბლანი თუმცა სამოც-და-ათ წლამდეა მიღწეული, მაგრამ მაინც არ ისვენებს. ამ დღეებში იმას გამოუცია მეექვსე ტომი თავის დიდი თხზულებისა, რომელსაც სახელათ ჰქვიან: „ათი წლიწადი ინგლისის ისტორიისა“.

* * *

**ჰაერის ბურთით მოგზაურობა ჩრდილოეთის პოლიუსისკენ.** დიდ-ძალი ფული აქვს დასარჯული ინგლისის საზოგადოებას იმ ექსპედიციებზე, რომელნიც იყვნენ გამართულნი ჩრდილოეთის პოლიუსამდე მისაღწევლათ. წლიწადი არ გავა, რომ ერთი ცეცხლის გემი მაინც არ გაგზავნონ ამ აზრით ინგლისიდამ ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ.

ლონდონში არის შედგენილი ჩრდილოეთის კომიტეტი, რომელსაც უგანასკნელს ხანს გადუწყვეტია ჰაერის ბურთით გაგზავნა მოგზაურებისა ჩრდილოეთის პოლიუსისკენ. ამბობენ, ეს მოგზაურობა ოცდა-ათას თუმანზედ მეტი დაჯდებაო.

## სამართალი

თფილისის ოლქის სასამართლოს სამიქნო (მექევრი) განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

**21 თებერვალს**

1) იმ დავების თაობაზედ, რომელიც ატყდა დუშეთის უეზდის ილოთოზას ტყის გაყოფის დროს.

**28) თებერვალს**

იმ დავების თაობაზე, რომელიც ატყდა დუშეთის უეზდის წინ-დუშეთის ტყის გამიჯვნის დროს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შინაგანის ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და უმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეისი—თვალისა, ბაბაევი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტოვი—ბუბიობის, ქალისა და უმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და უმაწვილის ავათმყო., ქიუხარიანცი—ვენერიულ და სამარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი—ხირურგიულის, ლისიცევი—შინაგანის, ბასუტოვი—ბუბიობის, ქალისა და უმაწვილების, ბაბაევი—ნერვების და შინაგანების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი—თვალის ბაბაევი—გულისა და შინაგანების და ვერმიშევი—შინაგანისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით სადამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე სადამოს 6 საათიდამ 7-მდის სამკურნალოშივე.

ებილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

# განცხადებანი

პარასკევს, 15 თებერვალს „თბილისის სობრანიაშიდ“ იქნება

# მასკარადის ბალი

თბილისის კეთილ-მყოფელთ საზოგადოების შკოლების და ყრმათა პრიუტების საშვალების გასადიდებლად.

მასკარადი დაიწყება საღამოს 10 საათზედ და ოთხზე გათავდება. მასკარადის გათავებამდის ყველანი ვალდებულნი არიან მასკაში იყონ.

ბილეთების ფასი: ზალაში კაცები გარდაიხდიან 2 მან., ქალები 1 მან., ხორში 3 მან. ბილეთების ყიდვა შეიძლება სობრანიის კარებში შესვლის დროს.

(3—3)

### თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებელი კომიტეტისაგან

**საჭიროა** თექვსმეტ, ანუ ცოტა მეტ-ოთახიანი **სახლი** ეზოთი, სამზარეულოთი, მოსამსახურეების სადგომ ოთახით, სარდაფით და შეშის შესანახი სარაიით.

პატრონმა უნდა მიმართოს გენერალ კ. ქ. ძე მამაცოვს, ანუ სათავად-აზნაურო შკოლის ინსპექტორს ნ. ლომოურს—ძუკიაში, თ. თაქთაქოვის სახლი, ქურახანების ახლო (**Втарая Кирпичная улица**).

(10—3)

### თბილისის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებელი კომიტეტი

სთხოვს საზოგადოების ბატ. წევრთ ამ თებერვლის გასვლამდის შემოიტანონ წარსულის და 1880 წლების საწევრო ფული.

ამ ფულს მიიღებს საზოგადოების ხაზინადარი ვ. დ. თულაშვილი, თბილისის ოლქის სასამართლოში.

(10—5)

### გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

„**მოდი და ენდეთ ქალსა!**“
ვოდევილი ერთ მოქმედებად
მ. ჯორჯაძისა
თფილ. 1880 წელს. ფასი 20 კაპ.

—

„**ქვრივის ლიმონები**“
მოთხრ. გრ. რჩეულოვისა
გამოც. დავ. ბერიძისაგან
თფილ., 1880 წელს. ფასი 10 კაპ.

—

„**სარიდონიანი**“
პოემა, გამოც. ქ. ჩარექოვისაგან
თფილ. ფასი 30 კაპ.

—

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა:
საქართველოს მეფე
„**ბაგრატ მეოთხე**“
თხზ. დიმ. ბაქრაძისა

—

„**სისხლის ძიება**“
პოემა ჩერქეზების ცხოვრებიდან
ალ. დეკანოზოვისა

**ქართულის თეატრის ამხანაგობა ამით აცხადებს, რომ ქოველს ავტორს, ვისი პიესაც სცენაზედ ღირსეულად აღმოჩნდება, მიეცემა შემწეობა ათ თუმნამდინ. ეს განცხადება არ შეეხება პრემიის თაობაზედ დაბეჭდილს განცხადებას.**

(5—3)

### ცალკე ნომრები

# „დროებისა“

### ისყიდება:

**თფილისში:** შაქერდოვის სააგენტოში (გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მდივანის შენობაში).

**ქუთაისში** ოდიშელიძის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

რედაქციაში დარჩენილია რამდენიმე სრული ეგზემპლიარი ჟურნალის „ივერიისა“. მსურველს შეუძლიან შეიძინოს ეს წიგნები ან თვითონ „დროებაივერიის“ რედაქციაში და ან უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. 1879 წლის განმავლობაში სულ ათი წიგნი გამოვიდა „ივერიისა“. თითო წიგნი ათ შაურად ისყიდება. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ თითოეულ წიგნზე 16 კაპ ანუ ყველა ათს წიგნზე—1 მან. 60 კაპ.



ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.
**გალაგანში**
ცირკის გვერდით, მუნიბის მაიდანზე საზოგადოებას აჩვენებენ
**ჯერ აქ უნახავს მოვლენას:**
**ყველაზე უდიდესი ევროპაში**

# ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე უფრო პატარა ადამიანები
მარკიზი **ვენრიხ ვოლგე**
და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი—30 კაპ. ბავშვებისათვის ნახევარი ფასია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Февраля 1880 г. Типографія Меликова, გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.